# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 109. ქვირა, 13 აპრილი 1903 წ. გაზეთის № 2121.


### ფიქრი...

იწვის სანთელი,
მკრთალი ნათელი
მისი ჩემს სახეს ელამუნება.
მთბობი ის არი,
ვითა ისარი
სიყვარულისა გულს ევლინება.
მინათებს არეს,
კარგსა და მდარეს
თვალს აცნობს, სულსაც მოელხინება,
თვითც იწვის, მეცა,
სანამდის ზეცა
ინებებს, ორთავ მიგვეძინება...
მაგრამა კრთომა,
ვით ზეცის წყრომა,
ზოგჯერ იმისი მზარავს სატრად:
ვფიქრობ, გაჰქრება,
ვითა ოცნება,
სიცოცხლეც ჩემი იმისებრ ჩქარად...
ჩაითვერთვლება,
ჩაიხვეწება
ხსოვნაც-კი მისი მთადა და ბარად!..

დავიწყებული.

1902 წ.

## დაგვიანებული აღდგომა

რუსულიდან

აღდგომის წინა დღე იყო. ქუჩებში ხალხი ბუზივით ირეოდა. მაღაზიების კარებებს ჯახა ჯუხი გაუდიოდა მუშტრების შესვლა-გასვლით: ყველანი სააღდგომო სამზადისში იყვნენ; ყველანი შაქრის კვერცხებით, კრავებით, ტკბილის ქადებით და სხვადა-სხვა სათამაშოებით დატვირთულნი, შინ მიეშურებოდნენ. სახლშიც დიასახლისები მოუსვენრად ფუსფუსებდნენ: აცხობდნენ ქადა-ნაზუქს, ჰღებავდნენ კვერცხებს, ჰგვიდნენ და სწმენდნენ ოთახებს, ჰბერტყავდნენ ხალიჩებს და ქეჩა-ფარდაგებს, ასუფთავებდნენ მტვრისაგან ავეჯს და სახლის სხვა მოწყობილებას,—ყველას, დიდს და პატარას, შინ თუ გარედ, ეტყობოდა მოუსვენრობა ბედნიერის დღის მოლოდინით; ყველა ემზადებოდა ღირსეულად დაჰხვედროდა ქრისტიანთათვის ამ დღესასწაულთა დღესასწაულს, და გრძელის მარხვით და სინანულით გაჯერებულნი მოუთმენლად მოელოდნენ გახსნილებას და თითქო გულის და გონების გაწმენდასაც. ყველა მეორე დღის სიხარულის მოლოდინში იყო...

მხოლოდ ძია ივანე იყო ჩაღვრემილი; უგემურად დაიზლაზნებოდა ქუჩებში და ნაღვლიანად და შურით ადევნებდა თვალს ხალხის ამ გაფოთებას და განგაშს. არაფერი აინტერესებდა; სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქო უკვირს და ეჩოთირება ყველას სისულსწრაფე, სირბილი, უმიზეზო აღტაცება და სიხარული. იმას არავინ არა ჰყვანდა: არც ცოლი, არც შვილი, არც თვისი, არც ტომი,—არავინ ისეთი მახლობელი და გულზე მიმკვრელი, რომელსაც უყიდოს მორთული კვერცხები და სათამაშოები და აღტაცებით „ქრისტე აღსდგა!“ მიულოცოს. იგი მხოლოდ ნაცნობების და თანამოსამსახურეების შვილების ძია ივანეა და განსაკუთრებით კი, ნათესაურად, არავისი. ხეტიალში ბევრმა აჩქარებულმა მგზავრმა მუჯლუგუნი წაჰკრა, ბევრმა ფეხის მეჭეჭები დაასრისა და გამწარებულს ფეხი მაღლა შეაქნევინა და შეაკვნესა.

ამ საერთო სიხარულმა და გატაცებამ ძია ივანეს გული უფრო დაუხურა; ეხლა უფრო გარკვევით, ცხადად გაითვალისწინა სიმარტოვე, სიობლე გულისა და სიმწარით იგრძნო რა ძნელი აუტანელი ყოფილა იგი. გული მტკივნეულად შეეკუმშა და თვალებში წყალივით რაღაც მოადგა. დაიწყო თვალების აქეთ-იქით ცეცება, იქნება ვისმეს ნაცნობს მოვკრა თვა-




ყანიდან.—სურათი ჰქდანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და გამოველაპარაკო, რომ გული გადავაყოლოო. მაგრამ ამაოდ; იმისთვის არავის ეცალა; თუ ვინმე ნაცნობი შეხვდებოდა, საჩქაროდ, სირბილში „გამარჯობას“ ეტყოდა და დაიმალებოდა ხალხში.

უეცრად ძაღლის წკმუტუნი გაისმა; ალბად რომელმამე აჩქარებულმა მგზავრმა ფეხი დაადგა საწყალს. აგერ საბრალო ფეხ-აკანტურებული მოხტის სამს ფეხზე და ნაღვლიანად და მუდარით უცქერის ყველას: „შემიბრალეთ, ნუ გამიჯავრდებით, ფეხს ნუღარ დამადგავთ: პატრონს ვეძებ“-ო. ძია ივანეს ძაღლი შეებრალა. „საცოდავო შენც ჩემსავით მარტო, უპატრონოდ დადიხარო!“ წაიბუტბუტა ჩუმად და შეშინებულს ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლს ჯერ გაუკვირდა უცხო კაცისაგან ალერსი და შიშით შეჰხედა: ცემას ხომ არ მიპირებსო, მაგრამ, რაკი დარწმუნდა, უცნობი ჩემს ცემას არა ჰფიქრობსო, თვითონაც ხელზე ენა აუსვა. დაღონებულმა ძია ივანემ ძაღლის ალერსით თითქო შვება იგრძნო სევდისაგან, ეხლა ისე მარტოდ აღარა ჰგრძნობდა თავს ამ აზვირთებულს ხალხში, რომელსაც მისთვის არ სცხელოდა. წინად რამდენი უპატრონო ძაღლის ცემა დაუნახავს, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, ახლა კი იმისი გული სხვა მდგომარეობაში იყო.

ძაღლი მღვრია-მოთეთრო ფერისა იყო, ცხვირ-გრძელი, კუდ-ბანჯგვლიანი, ძალზე გამხდარი. ძია ივანე ასცდა ხალხის გროვას და მეორე ყრუ, მოძრაობისგან თავისუფალს, ქუჩაში შეუხვია. ძაღლიც უკან გაედევნა, როგორც ქომაგს. გაჰყვა კუდის ქიცინით და ხვანხვალით სამს ფეხზედ. აქ, ამ ქუჩაში, ივანეს თითქმის აღარავინ უშლიდა სიარულს, აქ თითქო გონებითაც შვება იგრძნო.

— ცუცკა, გშიან, შე საწყალო?—შეეკითხა ძაღლს:—იქნება პატრონიც კი არა გყავს და ჩემსავით ობლად დაეხეტები ამ უშველებელ ქალაქის აღელვებულს ქუჩებში. ვინ იცის, შენც ჩემსავით დახამებული და უჩვევი ხარ წრფელს ალერსს? იქნება დღეს არც კი რამე გიჭამია შე უბედურო?

ძაღლიც თვალებში შესცქნაოდა, თითქო ე͡ს გაბმული კითხვები ძია ივანესი უნაკლულოდ ესმოდა: დაიწყებდა იმის წინ ხტუნვას, ხან კიდევ გაითოხარიკებდა ფეხ-აშვერილი და მერე უკან გამოიქცეოდა, შეახტებოდა გულზე და ხელებს ულოკდა. პირზედაც მოინდომა კოცნა, მაგრამ მტკივანმა ფეხმა არ დაანება.

— ოჰ, შე საწყალო! ფეხიც გატკინეს იმ ულმერთოებმა?! წამო, ცუცკა, ჩემთან, დავმეგობრდეთ და ერთმანეთი მარტოობის სევდისაგან დავიცვათ! არ გინდა? ჰო, გინდა, გინდა... ჰაი, შე მასხარავ! აბა წამო, ჯერ გაგაძღო!

და ძია ივანემ შეაღო მებულკის მაღაზიის კარები, აარჩია ტკბილი ბულკი და ძაღლს წინ დაუდო. იმანაც ჯერ გაკვირვებით შეჰხედა, ხომ არ მეხუმრებაო, და მერე ხარბად დაუწყო ჭამა და თან მადლიერის თვალით დაუწყო ცქერა მოწყალე მფარველს.

— კიდევ გინდა თუ გაძეხი? აბა ესეც მიირთვი, იქნება მოერიო!—და მეორე ბულკი გადმოუგდო. ცუცკამ არც იმაზე უთხრა უარი.

— ახლა შინ წავიდეთ!—უთხრა ძია ივანემ, შეახვევინა კიდევ რამდენიმე ბულკი და შინისაკენ გაემგზავრნენ. გზაში სათამაშოების მაღაზიაში შევიდა. რისთვის, ვისთვის უნდოდა? თვითონაც არ იცოდა. იყიდა მშვენიერი საყელო და ყელზე გაუკეთა. ვაჭარმა ურჩია, რეზინის ბურთი ეყიდნა, ვითომ პატარა ძაღლებსაც უყვართ კატებივით ბურთის გორაობა და ძია ივანემ იყიდა. შემდეგ, რაკი ვაჭარმა დაინახა საკბილო მუშტარი ჩავიგდე ხელშიო, ჩალის პატარა ურემი შეაჩეჩა ხელში. ესეც იყიდა და ბევრი სხვა რამეც, რაც კი მოხერხებულმა ვაჭარმა შესთავაზა. შემდეგ სათამაშოებით და ბულკებით დატვირთული ძია ივანე კარში გამოვიდა. ძაღლიც ხტუნაობით წინ გაუძღვა.

გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე და მესამეზე იმათ კეთილგანწყობილებას თითქო ნირი შეეშალა: ძია ივანემ ერთ მხარეს გაიწია, ცუცკამ მეორეს.

— საით მიჰვალ? აქეთ წამო!—უჩვენა ძია ივანემ თავის სახლისკენ.

— არა, ბატონო, მერწმუნეთ რომ ეს არის ჩვენი სახლის გზა!—იწვევდა უსიტყოდ ძაღლი.

— არა·მეთქი! შენ რა იცი, როდესაც ჯერ არც კი ყოფილხარ ჩემს სახლში? წავიდეთ, ნუღარ მაცდევინებ ქუჩაში; ჩემი სადგომი ამ ქუჩაზეა!

— აქეთ, ბატონო! თქვენმა მზემ მართალს მოგახსენებთ!

— ოხ, რა ახირებული ყოფილხარ!—ცოტა არ იყოს, წყრომით უთხრა ძია ივანემ:—ჰა, წამო, არ გესმის?

ძაღლმა თითქო საყვედურით შეხედა, მაგრამ მაინც ფეხს არ იცვლიდა.

— ეჰ, რა გაეწყობა; აღსრულდეს ნება შენი! გამიძეღ წინ, აბა ვნახოთ, სად წამიყვან!

ძაღლმა, რა დაინახა, რომ დაიყოლია, მხიარულის წკმუტუნ-ცმუკუნით გაიკუნტრუშა ხან სამს, ხან ოთხ ფეხზე, შემდეგ დაივიწყა მეოთხე ფეხის ტკივილი, მთელი თავისი ხერხი და ოსტატობა იხმარა, შეხტა, ტატები მხრებზე დაჰკრა მოულოდნელობისაგან გაკვირვებულს ძია ივანეს და გრძნობიერად ჩაჰკოცნა ტუჩებში.

— კარგი, გეყოფა! ჩავიქეც შენის პატივისცემით! მადლობას მოგახსენებ მხურვალე სიყვარულისთვის! გასწი!—და ძია ივანემ ტუჩები ცხვირსახოცით მოიწმინდა.

განვლეს ერთი ქუჩა, მეორე, მერე ვიწრო ქუჩა, კიდევ, კიდევ და კიდევ. ბოლოს ხეტიალით გაბეზრებული ძია ივანე ცუცკამ შეიყვანა საცალა ნაოხრების უბანში. დაწინაურებული ძაღლი გაქანდა, მიეჯახა ერთის ალიზის სახლის კარებს და მარდად გაძვრა გაღებულის ხანაში, ვიდრე კარები დაიხურებოდა. როდესაც იმისმა თანამგზავრმა შესვლა დააგვიანა, შიგნიდან კარებს ფხოტნა დაუწყო და მოჰყვა ყეფა-წკმუტუნს. ძია ივანეც ძალა-უნებურად შევიდა, ცოტა არ იყოს მორიდებით. ალიზის სახლისა და უსუფთაობის დანახვამ ზიზღი აღუძრა. მეორეც, მხოლოდ ძაღლის დაპატიჟებული იყო და მასპინძელი როგორ მიიღებდა, სათუო იყო. შესვლის უმალ სინოტივის, სიმყრალის და უწმინდურობის სუნმა შელახა იმისი ფაქიზი გრძნობიერება; ძია ივანემ თავისი უმტვერო, ქალალდივით თეთრი ცხვირსახოცი გაშალა და ცხვირ-პირზე მიიფარა. ოთახში ბნელოდა. თვალებს ცეცება დაუწყო, რომ დაენახა რამე; ბოლოს გაარჩია წინ, კედლის პირზე გაყოლებული ტახტი და ზედ დაფლეთილი, ჭუჭყით გაპოხილი ლოგინი, რომელშიაც წამომჯდარიყო გამხდარი, წმინდა სანთელივით გაყვითლებული, ჩამოფხავებული ბავშვი. სიცხისაგან ანთებული დიდი თვალები სიამოვნებით გაჰბრწყინოდა, გულში ჩაეხუტნა თავისი დაბრუნებული მეგობარი ცუცკა; უკანასკნელიც, ნიშნად უზომო სიხარულისა, ფანთხალობდა წკმუტუნებდა და გამალებული ცხვირ-პირს ულოკდა. მალი-მალ ძია ივანესაც გადმოჰხედავდა, თითქო იწვევსო, შენ რაღას დგეხარ, რატომ არ მოხვალ და არ მოუალერსებ ამ საცოდავს, დაავადებულს ბავშვს? ჰა, გაბედეო! ძია ივანემაც გაჰბედა მისვლა ავადმყოფთან და თავზე ხელი გადუსვა; ბავშვს შუბლი თონესავით უხურდა; მაჯა უნახა—ძალზე უცემდა.

— რა გქვიან, პატარავ?

— ვასო!—უთხრა ჩუმად ბავშვმა და თან შიშით ჩააშტერა სიცხისგან ანთებული თვალები: ჩემს ცუცკას ხომ არ მომტაცებსო.

— დედა არა გყავს, ვასო?

— არა!

— არც მამა?

— არა!

— საბრალო ბიჭუნა! — დაუწყო ბავშვს ალერსი და ის იყო, სათამაშოების და ტკბილ პურების ამოლაგებას შეუდგა, რომ კარებმა უხეიროდ გაიჭრიალა და ოთახში შემოაბოტა რუმბივით გასიებულმა დედაკაცმა, რომელსაც თავის პატივ დამსახურებულის ჯიშის დასამტკიცებლად ცხვირის ადგილას პატარა, ორ-ნახვრეტიანი, ზევით აფხეკილი და შუაზე ჩაჭყლეტილი ჭარხლის ფერი მურკი ება. ბავშვის და ძაღლის დანახვაზე როგორღაც უგემურად დაიღრიჯა და წარბებ გაცვივნული კოპები შეიკრა. ძაღლმა სული განაბა და თავისს უმწეო მეგობარს ლოგინში ჩაუძვრა. შეშინებული ობოლიც ჩაიმალა საბანში და ცუცკა გულში მაგრა ჩაიხუტა.

— ეს საოხრო, კიდევ არ მოთრეულა! — დაიღრიალა, მერე ბავშვს მიუბრუნდა: — შენც, შე ამოსაწყვეტის შვილო, — მაინცა სწყდებით! — რამდენჯერ უნდა დაგიშალო, რომ... — მაგრამ ხმა ჩაუწყდა სუფთად ჩაცმულის ძია ივანეს დანახვისათანავე. — ოჰ, უკაცრავად, ბატონო! ვერ შეგნიშნეთ! ლოთიფოთურის თავაზიანობით უთხრა და თავი დაუკრა.

— ეს ბავშვი შენი არის რამე? — ჰკითხა ივანემ.

— არაფერიც არ არის! ვიღაც მაწანწალას შვილია! ეს ერთი თვეა, დედა მოუკვდა — ობოლია! მაგისმა დედამ თავი შემაბრალა, შემომატყუა სახლში თავი და რამდენისამე დღის შემდეგ მოკვდა; ქირაც კი არა მოუცია რა! თუმცა საქმე სულ სხვანაირად იყო: საცოდავი, გულუბრყვილო ქვრივი შეიტყუა სახლში, ვითომ შებრალებით, სადგომის ქირაც არა სთხოვა და თავის ამფსონებს გააუპატიურებინა, რომ მერე ამისი ხორცის ქირა თვით აელო, მაგრამ საბრალომ ვერ აიტანა ნამუსის ახდა და თავი მოიკლა. დიაღ, იმას მოგახსენებდით: დარჩა იმას ეგ ბიჭი. პატრონი არავინ გამოუჩნდა, რომ თავიდან მომაშოროს. ხან და ხან სტუმრები მწვევიან ხოლმე: აქ, ქარხანაში, მუშაობენ, ჯეელი ბიჭები არიან. ისეც ვიწროობაა და ეგ კი გამუდმებით ტახტზე გდია და გორავს. ჯანაბას, ბავშვი ეგდოს, მოვითმენ, მით უმეტეს, რომ დღეს-ხვალ ფეხებს გასჭიმავს, მაგრამ ამ სატიალო ძაღლს რა ვუყო? მე, როგორც ყმაწვილსა და მგრძნობიერს ქალს, პირუტყვი ძალიან მძულს. ერთხელ გავატანე ჩემს სტეპკოს — ჩემი მეგობარი გახლავთ — (და ვითომ შერცხვენილმა თავი დახარა) ტომარაში გახვეული და შორს გავაშვებინე, მაგრამ ეგ წყეული ისევ დაბრუნდა. ერთხელ კიდევ ვიღასიც ჭაში ჩააგდო ქვამობმული, მაგრამ ჭის პატრონს თვალი შეესწრო, თვითონვე ჩაეგზავნა და ამოეყვანინებინა და მერე თავის მეეზოვეებისთვისაც ებრძანა, მისი გატყეპვა იმ.... უკაცრავად, ბატონო თქვენთან! ცოტა ენა-მყრალა დედაკაცი ვარ, კინაღამ უწმაწური სიტყვა წამომცდა... იმას მოგახსენებდით, ვერაფერი მოვუგვარეთ. ახლა კიდევ სტეპკომ წაიყვანა ქალაქს გარედ, რომ მდინარეში დაერჩო, მაგრამ ალბად ან თოკი გაწყდა და ან გადაღრღნა და, აი, კიდევ მოხეტებულა. მოკვლისაც მეშინიან, გათრევა ჭირს: პოლიციის მოხელეები ოქმს შემიდგენენ და დამაჯარიმებენ.



სადღეგრძელო. — სურ. ვოქსისა

„ეს ოჯახ დაქცეული აღარ დაჩუმდება!“ წაიდუდღუნა ძია ივანემ: „არყის სუნით ყარს ეს შეჩვენებული! ერთ ძაღლზე რამდენი ილაპარაკა!“

ავად მყოფი თავის ტკბილ მზრუნველის ტიკტიკის დროს ოდნავ ანათებდა შეშინებულს თვალებს და ყურს უგდებდა: მალე წამართმევს ამ ჩემს ერთად ერთს მეგობარს თუ არაო. მაგრამ ეხლა იმისი შიში ტყუილი იყო: ძია ივანემ, მასპინძლის ყბედობითა და უმეტესად კი არყის სუნით თავმობეზრებულმა, გააჩუმა და უთხრა:

— რადგან პატრონი არვინა ჰყოლია ბავშვს და ძაღლიც ძალიან ჰყვარებია, მაშ ორივეს მე წავიყვან...

— რასა ბრძანებთ? იკითხა გაკვირვებულმა დედაკაცმა: — მიირთვით, მაგრამ რაც ამდენს ხანს ჭამა და მოვლა დასჭირდა, იმისი ხარჯი ვის მოვსთხოვო?

— აჰა, ეს გეყოფა მგონი! — მისცა ივანემ ფული.

— ოჰ, დიდ მადლობას მოგახსენებთ, მოწყალე ბატონო! ამაღამ თქვენს სადღეგრძელოსაც დავლევთ მე და ჩემი ახალგაზდა სტუმრები: ჩემთან გიახლებიან, ამაღამ ერთად გავატარებთ დროს და აღდგომას ქეიფით მივეგებებით!

— კარგი, კარგი! — გააჩუმა ძია ივანემ. — აბა ჩქარა ეტლი მოაყვანინე!

ერთის კვირის შემდეგ ვასო, რომელიც ცუდის ჰაერისა და მოუვლელობისგან უფრო იყო ავად, საკმარისად მოღონიერდა წამლობით, ხელშეწყობით და კარგის სასმელ-საჭმელით. ცუცკასაც ფეხი მოურჩა.

ძია ივანეს დაღვრემილი სახე თან და თან გაიშალა. იმისი ნაშვილევი ვასო და აძის მეგობარი ცუცკა ძალიან ართობდნენ: აგორებდნენ ბურთს და დასდევდნენ; ერთი თავშეუკავებელი ხითხით-კისკისით და მეორე ტყუილის თავგამოდებულის ყეფით. სირბილის დროს ძაღლი ხშირად ხუმრობით ჩააფ-

რინდებოდა ხოლმე ვასოს წინდებსა ან შარვალში და ვითომ გამეტებით ღრღნიდა.

ძია ივანე კი სავარძელში იჯდა და სიამოვნებით იღიმებოდა თავის ცელქების თამაშზე.

გაჰქრნენ იმის სახლიდან მარტოობის განუშორებელი მეგობრები: მოწყენა და დარდი. კვირა ცხოვლობა დღეს იმისთვისაც დადგა „აღდგომა სიხარულისა.“

ანტონ თოიძე

# ნარევი

**ნაპოლეონ 1-ის ნათლული.** ვარშავის გუბერნიის სოფ. ტორგუეკას 91 წლის ვინმე ანელა რუცინსკაია მომკვდარა. მიცვალებულის ქაღალდები გადაუჩხრეკიათ და შეუტყვიათ, რომ რუცინსკისა ტრახტმანის ქალი ყოფილა და იმპერატორის ნაპოლეონ 1-ლის ნათლული. მამა ამ ქალისა, იოსებ ტრახტმანი, 1812 წ. მეეიცრად ყოფილა ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც საფრანგეთის იმპერატორი დროებით მდგარა, როცა რუსეთიდან უკან ბრუნდებოდა ომის შემდეგ. სწორედ იმპერატორის ამ სასტუმროში ყოფნის დროს ტრახტმანს ქალი შეეძინა და ფიქრად მოუვიდა ძვირფასი სტუმრის ნათლიობა. ნაპოლეონსაც უარი არ უთქვამს და ერთ-ერთ თავის ადიუტანტისათვის დაუვალებია; მიმრქმელად იყავი და ჩემის სახელით ტრახტმანის ქალი მონათლეო. ქალი მოუნათლავთ და ნათლიობის ავთრებშიაც ნათლიად ნაპოლეონ 1-ლი ჩაუნიშნავთ. ნაპოლეონს თავის ნათლიმამისათვის ძვირფასი საჩუქარი ებოძა.

ანელა სწორედ იმ დროს გათხოვილა, როცა საფრანგეთის მეფედ ნაპოლეონ მე-III ყოფილა და პენსიაც უთხოვნია; ნათლიობის მოწმობაც წარუდგენია, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ იმისი ნათლია ნაპოლეონ I-ლი იყო. ანელას დაუნიშნეს თურმე 600-ფრანკი წელიწადში მთელს სიცოცხლეში, მაგრამ პენსიას მხოლოდ 12 წელიწადი იღებდა: ნაპოლეონ მე-III ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ანელას პენსია მოუსპეს თურმე.

*
* *

ახირებული მოვლენა ყოფილა პარიზში 18 დეკემბერს დამით. ნაშუადამევის მეორე საათი დაიწყო, როდესაც შეუნიშნავთ ბევრგან, რომ კედლის საათები გაჩერებულიყო. ბევრს ისე უგრძვნია, თითქოს გული მისდიოო. მეტეოროლოგიის უმთავრესს სადგურის გამგეს ბ-ნ მასკარს შეეკითხნენ, ხომ არა მოხდარა იმ დამეს ცვლილება ბუნებაშიო, მაგრამ ამას გამოუცხადებია, არავითარი ცვლილება არა ყოფილაო. არც მიწის ძვრა ყოფილა იმ დამეს; უკანასკნელი—ისიც სუსტი—მიწის ძვრა პარიზში 1869 წელს ყოფილა, ასე რომ 18 დეკემბრის ამბავი ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩება.

ტფილისის საურთიერთო ნდობის ბანკის კრებაზე




— როდესაც მე მიმყევხარ, შენ ნურავისი გეშინიან, მხოლოდ დავალება არ დაივიწყო...

გერმანელი სტუმრები ტფილისში



— ჰენრიხ, როგორ გგონია, ქუჩის ამ გვარად დაფენა რომელ საუკუნეში იცოდნენ?
— მგონია მეთერთმეტე თუ მეთორმეტე საუკუნეში.



— სწორე გითხრა, ამალია, თუ მაგრა არ ჩავჭიდეთ ხელი ეტლის კოფას, გადავცვივდებით ამ უცნაურ ქუჩებზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Апрѣля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.